




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 19

2018 წლის 24 იანვარი
ხაშური



„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №16 დადგენილებაში (WWW.matsne.gov.ge 23/01/2018, 270070000.35.143.016475) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
		პოლიტიკური თანამდებობა		
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	2650
2		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1800
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1700
4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5	1700
		აპარატი		
5	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1250
6	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი საჯარო თანამდებობის პირი – უფროსი სპეციალისტი	6	700